ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

(2019 წლის სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დასრულდა მუშაობა ხუთწლიან სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე: 1. **ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის)** (ხელმძღვანელი ლევან გორდეზიანი, შემსრულებელი ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება); 2. **ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და განვითარების ეტაპები დიაქრონიულ ჭრილში (წინაქრისტიანული ხანიდან თანამედროვეობამდე)** (ხელმძღვანელი ვაჟა კიკნაძე, შემსრულებლები: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება); 3. **მულტიკულტურული საქართველო და კავკასია: ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესების ანალიზი** (ხელმძღვანელი ნინო მინდაძე, შემსრულებლები: საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებები, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია); 4. **ქართული ისტორიული აზრის ისტორია: ადამიანები, ტექსტები, იდეები (გვიანი ანტიკურობა - მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი)** (ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი, შემსრულებელი: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება), რომელებიც დაფინანსდა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში.

2019 წელს ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა** (FR-17_144, 2017-2020 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 2) წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია: **„საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“** (GEC-19-240, 2019 წ., ხელმძღვანელი გიორგი ჭეიშვილი, საკონფერენციო გრანტი).

ინსტიტუტის 14 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის (შ. რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; „World vision“; „რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასია“ (REC Caucasus); „აღმოსავლეთ ევროპისა და საერთასორისო კვლევების ცენტრი“ (ZOIS - გერმანია); „განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი“ (NorGePart: Norwegian-Georgian Partnership Program for Research-Based Educational Collaboration in Anthropology - ნორვეგია); ფოლკსვაგენის ფონდი (გერმანია); გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) (გერმანია); ლანკორონსკის ფონდი (პოლონეთი)) მიერ სხვა ორგანიზაციების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ბაზაზე.

2019 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: **„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N 1-2 (22)** და **N 1 (23)**; **„ქართული წყაროთმცოდნეობა“ XIX-XX და XXI; „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XIX.** ასევე, დაიბეჭდა ინსტიტუტში ჩატარებული, წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: **„საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“** მოხსენებათა თეზისები.







თანამშრომელთა ავტორობითა და თანაავტორობით საქართველოში გამოიცა 11 მონოგრაფიული ნაშრომი; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კონფერენციების მასალათა კრებულებში საქართველოში დაიბეჭდა 55 სტატია, ხოლო საზღვარგარეთ - 15 სტატია.

2019 წელს ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

<u>11-13 სექტემბერი</u> - წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია: **„საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია,“** დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (თანამონაწილეები და ორგანიზატორები: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი, საქართველოს საპატრიარქო, წმ. გრიგოლ ფერაძის კავშირი).

5 ოქტომბერი - ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ეთნოლოგ **რუსუდან ხარაძის დაბადებიდან 110 წლისთავს** (თანამონაწილე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი).

27 დეკემბერი - გაიმართა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, **ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება.

2019 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როგორც მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში (საქართველოში - 88, საზღვარგარეთ - 22). მოხსენებათა ნაწილი გამოქვეყნებულია.

15 ნოემბერს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო ისტორიკოს, **დევი ბერძენიშვილის** დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, სადაც

ნაჩვენები იქნა მედიაკავშირ „ობიექტივის“ მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

2019 წელს, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, ინსტიტუტის მონაწილეობით გაიმართა 2 ღონისძიება:

1. 24-27 სექტემბერი - თსუ-ს პირველ კორპუსში მოეწყო გამოფენა: **კავკასიური სამოსი (ეთნოგრაფიული გამოფენა)** (სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები, სტუდენტები, სამეცნიერო და აკადემიური წრეები). აღნიშნულ ღონისძიებაში ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან ერთად, მონაწილეობდა საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საგამოფენოდ, ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი იქნა კავკასიის სხვადასხვა რეგიონების ხალხთა (მამაკაცისა და ქალის) სამოსები, რომლებიც ეთნოგრაფმა **ასმათ საღირიძემ** ორიგინალს მაქსიმალურად მიამსგავსა. ესენია: ქართველთა, ჩრდილო კავკასიელთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და იმ ეთნიკური ჯგუფების სამოსები, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინ დასახლდნენ კავკასიაში და მის ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ.
2. 25 სექტემბერი - საჯარო ლექცია/პრეზენტაცია **„ხატ-სალოცავები“** (სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები, ფართო საზოგადოება). აღნიშნული ღონისძიება გაიმართა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში და მნიშვნელოვანი იყო სკოლის მოსწავლეების სამეცნიერო პროცესებში ჩართულობის გამო. საჯარო ლექცია/პრეზენტაციაზე, წარდგენილი იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული ეთნოგრაფიული გრაფიკული მასალა, რომელიც მოპოვებულია გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა საგანმანათლებლო ლექცია, რომელიც შეეხებოდა საისტორიო მეცნიერების დანიშნულებასა და მიზანს; „საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, ინსტიტუტის თანამშრომლებმა დასავლეთ საქართველოს რეგიონების, კერძოდ: აჭარის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის სკოლების ისტორიის პედაგოგებისთვის, ჩაატარეს საგანმანათლებლო ლექციები თემაზე - „საქართველო - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.“ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საპატრიარქო და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი.

2019 წელსაც გრძელდებოდა ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი - **„საინსტიტუტო საუბრები“**, რომელზეც წარმოდგენილი იქნა 10 მოხსენება როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ასევე მოწვეული მეცნიერების მიერ.

2019 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია თანამშრომლობდა ჰარვარდის სამედიცინო სკოლის გენეტიკის დეპარტამენტთან, რაც ითვალისწინებდა ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში დაცული არქეოლოგიური მასალის (პალეომოსახლეობის) კომპლექსურ კვლევასა და ერთობლივი სამეცნიერო პროდუქციის შექმნას.

2019 წლის 15 მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გამოცემული ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების **წიგნების გამოფენა-პრეზენტაცია.** სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა წარადგინეს პრეზენტაციები, ისაუბრეს გამოცემების მნიშვნელობასა და მიზნებზე. ივ.

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან პრეზენტაციას უძღვებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე - **შალვა გლოველი.**

10 ივნისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი-გამოფენა **„ერთი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა,“** სადაც წარმოდგენილი იქნა 1930-იან, 50-იან და 70-იან წლებში ჭვანის ხეობაში ჩაწერილი ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერები, რომლებიც დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში.

2019 წელს ინსტიტუტი მონაწილეობდა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში. რეგისტრაცია გაიარა 3 სტუდენტმა. ისინი იმუშავებენ ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში; ასევე, ერთი მათგანი სტაჟირებას გაივლის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში.

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: **www.institutehist.ucoz.net**, რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.